სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის რესურსების XI-B სალიცენზიო ბლოკზე, (საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონები) შპს „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“-ს დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გეო კონსალტინგი“ ამზადებს ამზადებს ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტის - პატარძეული აჯგდ 4-ის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გზშ-ის მომზადების პირველ ეტაპს წარმოადგენს სკოპინგის ანგარიში (*პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს*), რომლის ს ა ჯ ა რ ო გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გაიმართება 2026 წლის 18 სექტემბერს 14 საათზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოპინგის ანგარიში ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე (ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო/State Agency of Oil and Gas) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sagarejo.gov.ge).

საზოგადოებას უფლება აქვს სკოპინგის ანგარიშის განთავსებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით (წერილობით; ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების საშუალებას).